ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-63. 632630213**
თარიღი:**29/10/2026**

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 7 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები’’-ს მე-2 მუხლის შესაბამისად, განიხილა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 7 ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნას, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 7 ინფრასტრუქტურული პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად,

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი 7 ინფრასტრუქტურული პროექტის შესახებ

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)			პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა
		სულ	(რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)	მ.შ. თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	

	1	2		3	4	5	6
1	ახმეტელის ქუჩაზე არხის კაპიტალურად მოწყობა (I ეტაპი)	125937	119640	6297	ნოემბერი	დეკემბერი	
2	ახმეტელის ქუჩაზე არხის კაპიტალურად მოწყობა (II ეტაპი)	161198	153138	8060	ნოემბერი	დეკემბერი	
3	ტერელაძის ქუჩაზე არხის კაპიტალურად მოწყობა	139966	132967	6999	ნოემბერი	დეკემბერი	
4	თამარ მეფის ქუჩაზე ავტოსადგურის ტერიტორიიდან გზის მარჯვენა მხარეს სანიაღვრე არხის გაფართოება მდ. ლოღობამდე	1121220	1065159	56061	ნოემბერი	დეკემბერი	
5	თამარ მეფის ქუჩაზე ავტოსადგურის ტერიტორიიდან გზის მარცხენა მხარეს სანიაღვრე არხის გაფართოება მდ. ლოღობამდე	312248	296635	15613	ნოემბერი	დეკემბერი	
6	ქ. სამტრედიაში სხვადასხვა ლოკაციაზე მდინარეების წმენდის შემდეგ დარჩენილი ნატანის, სამშენებლო ნარჩენების გატანის სამუშაოები	42725	0	0	ნოემბერი	დეკემბერი	
7	ოფეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ნაწილ ოფეთსა და დიდი ოფეთს შორის დამაკავშირებელი ე.წ. ,,ქვაბის ფსკერის“ ღელეზე მართკუთხა კვეთის მილ-ხიდის მოწყობა	128293	121878	6415	ნოემბერი	დეკემბერი	

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი